საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ვ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.06.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 053/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ბ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას, 2022 წლის 27 ივნისს საჩივრით მომართა ვ. გ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ა. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2021 წლის 9 თებერვალს ადვოკატ ა. ბ.-ს გაუფორმა მინდობილობა (სანოტარო აქტი N---), რომლის მიხედვითაც, ადვოკატს მარწმუნებლის ინტერესები უნდა წარმოედგინა სამივე ინსტანციის სასამართლოში, მარწმუნებლის ქონებრივი და/ან არაქონებრივი ინტერესების დასაცავად.

1.3 საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართა ექვსი იურიდიული ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით უდავო წარმოების დასაწყებად. მხარეთა შეთანხმებით, საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 300 ლარი, რაც კლიენტმა სრულად გადაუხადა ადვოკატს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ა. ბ.-მა იურიდიულად გაუმართავი განაცხადი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რაზეც სასამართლომ 2021 წლის 15 თებერვალს მიიღო განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილება (საქმე N---). თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 თებერვლის დადგენილებით 2021 წლის 9 თებერვალს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა - 150 ლარი უკან დაუბრუნდა საჩივრის ავტორს, თუმცა ადვოკატს აღნიშნული თანხა კლიენტისათვის არ დაუბრუნებია.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი დაპირდა, რომ კვლავ მიმართავდა სასამართლოს და გამოასწორებდა მის მიერ დაშვებულ შეცდომას. ადვოკატმა განმეორებით მხოლოდ 1 წლის შემდეგ მიმართა სასამართლოს და ნაცვლად 6 იურიდიული ფაქტის დადგენისა, მხოლოდ ერთი იურიდიული ფაქტის დადგენა მოითხოვა. საჩივრის ავტორის მითითებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2022 წლის 13 იანვრის დადგენილებით (საქმე N---) კვლავ უარი განაცხადა განცხადების მიღებაზე, ვინაიდან ადვოკატის მიერ წარდგენილი განცხადება არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე და 178-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ მიაწოდა ინფორმაცია სასამართლოში წარსადგენ დოკუმენტებზე. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი სატელეფონო კომუნიკაციისას დაპირდა, რომ თავად წავიდოდა იუსტიციის სახლში დოკუმენტაციის მისაღებად, თუმცა მას ეს არ გაუკეთებია.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ განუმარტა მიზეზი, რის გამოც სასამართლომ მიიღო განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილება.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, და აღარ პასუხობდა კლიენტის ზარებს.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ა. ბ.-მა მის ანგარიშზე 100 ლარი მხოლოდ მას შემდეგ ჩარიცხა, რაც მისმა ქალიშვილმა - ნ. გ.-მა ადვოკატს ტელეფონით აცნობა, რომ შეიტყო სასამართლოს მხრიდან თანხის დაბრუნების შესახებ.

1.10 საჩივრის ავტორი მოითხოვს, რომ ადვოკატმა ა. ბ.-მა დაუბრუნოს მას სახელმწიფო ბაჟისათვის გადახდილი 150 ლარი და ჰონორარი - 300 ლარი.

1.11 2022 წლის 30 აგვისტოს, საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარმოადგინა განცხადება, სადაც განმარტა, რომ ადვოკატის მიმართ აღარ აქვს პრეტენზია და ითხოვს დისციპლინური წარმოების შეწყვეტას. ვ. გ.-ის განმარტებით, ადვოკატმა დაუბრუნა სადავო თანხა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ა. ბ.-მა ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2022 წლის 18 ივლისს, სადაც განმარტა, რომ ვ. გ.-ის საჩივარში აღწერილი ფაქტები არ შეესაბამება სინამდვილეს და არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი. ადვოკატის განმარტებით, მისი მოქმედება არ გასცდენია კანონის მოთხოვნათა ნორმებს.

2.2 ადვოკატი ა. ბ.-ის განმარტებით, ვ. გ.-ის სახელით ორჯერ მიმართა სასამართლოს იურიდიული ფაქტების დადგენის მოთხოვნით და განცხადებების წარდგენისას გადაიხადა 25-25 ლარი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, სატელეფონო საუბრისას ვ. გ.-ს განუმარტა, რომ მას შეეძლო 50 ლარის სახელმწიფო ხაზინიდან დაბრუნება, ხოლო დარჩენილი 100 ლარი კლიენტს 2022 წლის 30 მაისს ჩაურიცხა ლიბერთი ბანკის ანგარიშზე.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მასსა და ვ. გ.-ს შორის გამართულ ბოლო სატელეფონო საუბრისას, საჩივრის ავტორს პრეტენზია არ გამოუთქვამს ადვოკატის მომსახურებაზე და არ უთხოვია მისთვის ჰონორარის დაბრუნება.

2.5 ადვოკატმა ა. ბ.-მა 2022 წლის 30 აგვისტოს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა დამატებითი განცხადება და საბანკო ქვითარი, სადაც მითითებულია, რომ ვ. გ.-ის პირად ანგარიშზე ჩაურიცხა 150 ლარი.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ა. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ვ. გ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 27 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

3. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 2022 წლის 30 აგვისტოს საჩივრის ავტორმა ვ. გ.-მა განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითა, რომ ადვოკატთან მორიგდა და ადვოკატმა ა. ბ.-მა დაუბრუნა 150 ლარი. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ აღარ აქვს პრეტენზია და სურს, კომისიამ შეწყვიტოს მის საჩივარზე საქმის წარმოება.

4.2 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)“. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

4.3 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20 მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N053/22 ადვოკატ ა. ბ.-ის /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/